საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3075-03
18/09/2020

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების, სააპელაციო და ხელშეკრულების გაფორმების ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, “პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების, რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 და 2020 წლის 11 სექტემბრის N2889-03 ბრძანებების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 17 სექტემბრის N8551-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის N2889-35 ბრძანებით განსაზღვრულ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების ქვემოთ მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 20, 21 და 22 სექტემბერი:

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა)“;

ბ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა);

გ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);

დ) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები);

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ზუსტი თარიღების შესახებ ინფორმაცია (პროგრამების მიხედვით) განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 2020 წლის 18 სექტემბერს;

3. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთათვის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს დისტანციურ ფორმატში (აპლიკანტი გამოცდის პლატფორმის ბმულს მიიღებს გამოცდის წინა დღეს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტაზე);

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განათავსოს 2020 წლის 23 სექტემბერს, ერთი თვის ვადით, აპლიკანტთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით.

5. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით აპლიკანტთათვის საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 24 სექტემბერი, 18:00 საათამდე. განაცხადი გადმოგზავნილ უნდა იქნას შემდეგ ელ. ფოსტაზე - bte@iliauni.edu.ge

6. სააპრეტენზიო განცხადებების საფუძველზე განმეორებითი გამოცდა ჩატარდეს 2020 წლის 26 სექტემბერს.

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, მეექვსე პუნქტში მითითებული განმეორებითი გამოცდების განრიგის შესახებ ინფორმაცია პროგრამების მიხედვით განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 2020 წლის 25 სექტემბერს და აპლიკანტებს მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტის საშუალებით მიაწოდოს გამოცდის პლატფორმის ბმული;

8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, აპლიკანტთა რეიტინგული სიები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით (ჩასარიცხ კანდიდატთა ძირითადი და სათადარიგო სიები), აპლიკანტთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით, გამოაქვეყნოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2020 წლის 28 სექტემბერს ერთი თვის ვადით.

9. აპლიკანტებთან, რომლებიც წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს და, რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, ხელშეკრულება გაფორმდეს ქვემოთ მოცემული ინფორმაციის შესაბამისად:

ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან - 2020 წლის 29 სექტემბერს, 10:00-დან 18:00 საათამდე.

ბ) სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან - 2020 წლის 30 სექტემბერი, 10:00-დან 18:00 საათამდე.

10. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, დეტალური ინფორმაცია ხელშეკრულების გაფორმების გრაფიკის შესახებ (ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით) განათავსოს ვებ.გვერდზე, რეიტინგული სიების გამოქვეყნების პარალელურად.

11. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, უზრუნველყოს ამ ბრძანების მე-4 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული ვადის გასვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, ამავე პუნქტებში მითითებული ინფორმაციის ვებ-გვერდიდან აღების უზრუნველყოფის მიზნით, იმგვარად რომ ის აღარ იყოს ხელმისაწვდომის ინტერნეტ სივრცეში.

12. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს- სოფიკო ლობჟანიძეს.

13. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

14. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი